ნიკოლოზ სარაჯიშვილი
ისტორიის სადოქტორო პროგრამა, თსუ
„უახლესი ისტორიის ცენტრის“ მკვლევარი
Nikasarajishvili99@gmail.com

დასავლური მუსიკა და მუსიკოსები საბჭოთა პერიოდის ოფიციალური პერიოდული გამოცემების ფურცლებზე „უძრაობის“ ხანაში

საკვანძო სიტყვები: ხელოვნება და იდეოლოგია, ცივი ომი, საბჭოთა პრესა, ცენზურა, ჯაზი, როკი
Keywords: Art and ideology, Cold War, Soviet press, censorship, jazz, rock

XIX საუკუნიდან მოყოლებული, ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, 2010-იან წლებამდე (თავისთავად, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ქრონოლოგიური ჩარჩო შეიძლება მივიღოთ), პერიოდულ გამოცემებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ინფორმაციის გავრცელებაში, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. პერიოდი, რომელიც წინამდებარე სტატიაშია განხილული, ცივი ომის მეორე ნახევარს განეკუთვნება. 1960-1980-იან წლებში საბჭოთა კავშირის ბეჭდურ პრესაში არსებული პუბლიკაციები მნიშვნელოვანი წყაროა საზოგადოებისა და ოფიციოზის დამოკიდებულების დინამიკის გამოსავლენად. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საბჭოთა პერიოდში პრესას დიდი პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა, „პრესა და ჟურნალისტების საქმიანობა ამ პერიოდში ემსახურებოდა სახელმწიფო ინტერესებს და იყო სკკპ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია – ნ. ს.) პოლიტიკის ერთგვარი რუპორი, მათ შორის კი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეშიც“ (Невская 2009: 45-46). ამ მიმართულებით ფლაგმანის როლს გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ ასრულებდა, რომლის ჟურნალისტებიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას და პირველ რიგში კი, *ახალგაზრდების კულტურას*. გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად შუქდებოდა გაზეთის მკითხველთა მუსიკალური მიდრეკილებები, ახალი მიმდინარეობები საზღვარგარეთულ მუსიკალურ კულტურაში (Невская 2009: 47). გარდა ამისა, უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა ჟურნალ „როვესნიკს“, რომელიც მნიშვნელოვანი და ამავდროულად, ინფორმაციის ოფიციალურად სანქცირებული წყარო გახდა როგორც პოპ მუსიკის ახალგაზრდა მომხმარებლებისთვის, ასევე კომკავშირის ადგილობრივი იდეოლოგებისთვის (Zhuk 2010: 241). ხშირად, სხვადასხვა საცეკვაო მოედანზე მუსიკის შერჩევაში კურატორები სწორედ „როვესნიკით“ ხელმძღვანელობდნენ, თუ მასში კონკრეტულ შემსრულებელზე ინფორმაცია

იყო დაბეჭდილი, ესე იგი მისი დაკვრა შესაძლებელი იყო (Zhuk 2010: 268). რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანი გამოდიოდა, ვინაიდან „როვესნიკი“ ეხმიანებოდა დასავლური პოპულარული კულტურის ყველა უმნიშვნელოვანეს თანამედროვე მოვლენას. 1967 წლის დეკემბრის ნომერში, ჟურნალმა გამოაქვეყნა პირველი სტატია საბჭოთა პრესაში ლონდონის ჰიპების მოძრაობის შესახებ (Zhuk 2010: 246). 70-იანი და 80-იანი წლების განმავლობაში „როვესნიკმა“ დაფარა როკ-მუსიკის მთელი ისტორია: „ამ ჟურნალის ფურცლებზე გამოჩნდა მუსიკის ყველა მთავარი ფიგურა, დასავლური პოპულარული მუსიკის ყველა ძირითადი მიმდინარეობის წარმომადგენელი, რომელიც პოპულარული იყო საბჭოთა მუსიკალურ ბაზარზე... 1960-იანი წლების ბოლოს მუსიკა წარმოდგენილი იყო მასალებით ჯიმ მორისონის „დორსის“ შესახებ, გარდა მრავალი სტატიისა „ბითლზების“, „როლინგ სტოუნსის“ და „ჰუ“-ს შესახებ. სხვა არტისტები – როგორიცაა ელტონ ჯონი, დევიდ ბოუი, „ლედ ზეპელინი“, „ქუინი“, სლეიდი“, „რეინბოუ“, „იურაი ჰიპი“, „ემერსონ, ლეიქ ენდ პალმერი“, „პინკ ფლოიდი“, „სექს პისტოლსი“ და „ქლეში“ – აგრეთვე პოპულარული საგნები იყო სტატიებისთვის 1970-იანი წლების მუსიკის ისტორიისათვის, ფარავდა რა მძიმე მეტალის, ფსიქოდელიკის, პროგრესივ და პანკ-როკისა და „ახალი ტალღის“ განსხვავებულ სტილებს.“ (Zhuk 2010: 248).

დასავლური მუსიკისადმი დამოკიდებულების დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირში ის არაერთგვაროვანი იყო. სსრკ-ში როკ-მუსიკის პირველ შემოჭრას თან ახლდა პარადოქსული ფაქტი – „პარტიულმა და კომკავშირულმა იდეოლოგიურმა აქტივისტებმა იცოდნენ, რომ დასავლეთ ევროპაში, აშშ-სა და კანადაში, როკი, როგორც ახალგაზრდული მუსიკალური ხელოვნების არაკონფორმისტული ფორმა, დაკავშირებული იყო პოლიტიკურ პროტესტთან, ბურჟუაზიულ ფასეულობათა უარყოფასთან, ახალგაზრდა თაობის ანტისაომარ და პაციფისტურ განწყობებთან. ამის გამო ისინი ვერ წყვეტდნენ აეკრძალათ ქვეყანაში გაჩენილი როკ-ჯგუფები და როგორც ასეთის, როკ-კულტურის მკვეთრი კრიტიკა მოეხდინათ. ახალგაზრდულ პრესაში გამოჩნდა კომპრომისული ხასიათის სტატიები როკზე, მაგრამ ტერმინი „როკი“ იქ შეცვლილი იყო სინონიმით „ბიტი“ («бит»)“ (Невская 2009: 48).

გარდა ამისა, სხვადასხვა ახალგაზრდულ (არამხოლოდ – ნ. ს.) გაზეთში იშვიათად, თუმცა მაინც, ჩნდებოდა ნათარგმნი სტატიები, უმთავრესად, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების გაზეთებიდან (თუმცა იყო გამონაკლისებიც, როდესაც სტატიები გდრ-დან, ამერიკიდან და ბრიტანეთიდან იყო) (Невская 2009: 48).

ცხადია, საბჭოთა პრესა არ იყო მოკლებული დასავლური მუსიკისა და მუსიკოსების კრიტიკას. პრესაში დასავლური მუსიკის წინააღმდეგ ბრძოლა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა. ხაზი ესმებოდა ამგვარი მუ-

სიკის მოსმენის ფიზიოლოგიურად საზიანო შედეგებს. მაგალითად, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ 1968 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია (რომელიც ეყრდნობოდა გფრ-ში გამომავალ ჟურნალ „შტერნის“ სტატიას), რომ ადამიანისთვის საზიანო ხმის სიხშირე 65 ფონია, ხოლო ბიტ-მუსიკის დროს გამოყოფილი ხმა აღემატება 120 ფონს: „სასმენი აპარატის დაზიანების გარდა, შესაძლებელია გულის მოქმედებისა და სისხლის მიმოქცევის დარღვევა, ნერვოზულობა, უძილობა, ზოგადი გაღიზიანებულობა. საქმე ისაა, რომ ზიანის მომტანია არა მხოლოდ ბიტ-მუსიკის მაღალი ხმა, არამედ, პირველ რიგში, მისი მონოტონური რიტმი.“ (Невская 2009: 49).

გარკვეული მიმართულება ეთმობოდა გარეგნულ ნაწილზე აპელირებას, ეს განსაკუთრებით ჰიპების შემთხვევაში. თუმცა, კრიტიკა ადგილობრივ მედასავლეთეებსაც შეხვდათ, მაგალითად, „სტილიაგებს“, რომელთაც კარიკატურებზე გრძელი კისრებით გამოხატავდნენ, რაც იმის გამომხატველი იყო, რომ მათ აინტერესებდათ ყველაფერი ის, რაც „რკინის ფარდის“ მიღმა იყო (სარაჯიშვილი 2024: 8). გარდა ამისა ხაზი ესმებოდა გრძელ თმებსა და ფერად ტანსაცმელს. როგორც ტატიანა ნევსკაია თავის სადისერტაციო ნაშრომში წერს, ახალგაზრდა გრძელთმიანი და ფერადსამოსიანი ახალგაზრდის გარეგნობა გარშემომყოფებში შიშსა და შეცბუნებას იწვევდა (Невская 2009: 52).

70-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა პრესა უკვე როკ-მუსიკის დასასრულზე საუბრობს. 1970 წელს პოლონურ ჟურნალში „პანორამა“ გამოქვეყნდა კრიტიკული სტატია როკ-მუსიკის განვითარების პერსპექტივებზე სათაურით «Что теперь, “Битлз?”». რედაქცია ირწმუნებოდა, რომ როკ-მუსიკამ, „ბითლზის“ მსგავსად, თავისი დრო მოჭამა და სრულიად 1960-იან წლებში დარჩა. სტატია თარგმნილი სახით მალევე დაიბეჭდა „კომსომოლსკაია პრავდაში“ (Невская 2009: 52).

საბჭოთა პერიოდში „ბითლზს“ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. რეალობის გადმოსაცემად საკმარისად მიგვაჩნია სსრკ კპ ცკ-ის უკანასკნელი გენერალური მდივნის, მიხაილ გორბაჩოვის თარჯიმნის, პაველ პალაშენკოს მოგონებებიდან პატარა მონაკვეთის მოტანა: „დარწმუნებული ვარ, რომ ბითლზის გავლენა 1960-იანი წლების ახალგაზრდა საბჭოთა თაობაზე, ერთ დღეს კვლევის საგანი გახდება. მათი სიმღერები ზეპირად ვიცოდით. ახალგაზრდების ტიპურ ჯგუფში ვინმე გიტარაზე უკრავდა, გარშემორტყმული მსმენელებითა ან/და თანამომღერლებით... ბითლზს, ჩემი ფონეტიკის მასწავლებელზე მეტადაც კი ვუმადლი ჩემს აქცენტს. მაგრამ მე და ჩემს მეგობრებსა და თანამედროვეებს მათ მიმართ სხვა ვალიც გვაქვს. ბრეჟნევის რეჟიმის ბნელ წლებში ისინი არა მხოლოდ მუსიკალური შვების წყარო იყვნენ. ისინი დაგვეხმარნენ შეგვექმნა საკუთარი სამყარო, განსხვავებული იმ მოსაწყენი და უაზრო იდეოლოგიური ლიტურგიისგან,

რომელიც სულ უფრო მეტად გვახსენებდა სტალინიზმს. ჩვენმა თაობამ აირჩია მათი მელოდიები და ასევე მათი თავისუფლება, მათი შეცდომები, მათი კრიზისები. მჯერა, რომ იმ წლებში მხოლოდ ზოგიერთი ჩვენგანი იღებდა შთაგონებას ანდრეი სახაროვისგან, რადგან ჯერ არ ვიყავით საკმარისად მომწიფებულნი მისი ხედვის გასაგებად. მაგრამ ბითლზი იყო ჩვენი მშვიდი გზა „სისტემის“ უარსაყოფად, მაშინ როცა მის მოთხოვნათა უმეტესობას ვემორჩილებოდით“ (Palazchenko 1997: 3).

„ბითლზი“ საბჭოთა პრესაში. საინტერესოა, რომ ფაქტობრივად 1963 წელს დაარსებული ბენდის შესახებ 1964 წელს უკვე ქვეყნდება ინფორმაციები საბჭოთა ოფიციალურ პრესაში. კომკავშირის ერთ-ერთმა ბეჭდურმა ორგანომ 1964 წელს მცირე ინფორმაცია გამოაქვეყნა „ბითლზის“ შესახებ, დაურთო რა მათ ფოტოებს მცირე ტექსტი (Zhuk 2010: 82). აღნიშნულ საკითხს იმავე წელს შეეხო ბრიტანეთში საბჭოთა კავშირის ელჩი შიფროგრამაში, რომელშიც საუბარია, რომ *ბითლზზე*, ნათქვამია, რომ მისი პოპულარობა მალე იზრდებოდა, განსაკუთრებით კი აშშ-ში სენსაციური ტურნეს შემდეგ. შიფრტელეგრამის ცნობაში ნათქვამია (თავად დოკუმენტი არ იძებნება), რომ „საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებულ იქნა „ბითლზებზე“ რამდენიმე მკვეთრად კრიტიკული სტატია და ფელეტონი. გაზეთმა „იზვესტიამ“ დაბეჭდა საკუთარი კორესპონდენტის წერილი აშშ-ში „ბიტლომანიის“ ზრდის შესახებ რუბრიკაში „სქელჯიბიანთა მორალი“. ფელეტონები და მასალები გამოქვეყნებულია „ლიტერატურული გაზეთის“ (ამა წლის 4 მარტს), „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ (13.2.1964 წ.), „მოსკოვსკაია პრავდისა“ (17 მარტი), ჟურნალ „როვესნიკის“ №3. 1964 წ., მიერ.“ (Д. А. Поликарпов об... 2013: 599-600).

პირველად საბჭოთა პრესის ფურცლებზე „ბითლზის“ შესახებ ინფორმაცია 1964 წლის 19 იანვრის გაზეთ „კომსომოლსკაია ისკრაში“ (Комсомольская искра) დაიბეჭდა რუბრიკაში „თავისუფალი სამყაროს“ გრიმასები“ (Гримасы «свободного мира»), სათაურით „ჯაზური ბიზნესი“ («Джазовый Бизнес»). თავად „ბითლზი“ სახელწოდებულია როგორც ჯაზკვარტეტი Битлис (Егоров 1964: 4). ნახსენებია ბრაიან ეპშტეინიც[1] და აღნიშნულია მისი როლი „ბითლზის“ წარმატებაში, თუმცა ისეთი კონტექსტით, თითქოს მან ეს ბიჭები სათავისოდ გამოიყენა. საუბარია აგრეთვე იმ ისტერიაზე, რომელიც მათ გამოჩენას მოჰყვა, ბილეთების რიგებზე, აჭრელებულ გაზეთებზე და ა. შ. ისიც ნათქვამია, რომ ინგლისის წამყვანი სოციოლოგები ცდილობენ ამოხსნან „ბიტლომანიის“ ფენომენის მიზეზები. დასასრულს კი მათი წარმატების მიზეზად მხოლოდ და მხოლოდ მარკეტინგული ხრიკები და კაპიტალისტების ინტერესები სახელდება (Егоров 1964: 4). საბჭოთა გაზეთებში ფულის საკითხებს არც თუ იშვიათად ვხვდებით. მაგალითად, ჟურნალი „მუ-

[1] „ბითლზის“ მენეჯერი 1961-1967 წლებში. ბევრი სწორედ მის „მმართველობით“ უნარებს უკავშირებს ბითლზის წარმატებას.

ზიკალნაია ჟიზნ“ (Музыкальная жизнь), სტატიაში მიმოიხილავს დასავლურ შოუ-ბიზნესში არსებულ რეალობას და აღნიშნავს, რომ დიდ ბრიტანეთში მსუბუქი მუსიკა ბიზნესად იქცა და რომ ფირფიტების ტირაჟები ასტრონომიულ ციფრებს აღწევს. აღნიშნულია, რომ „ბითლზის“ ფირფიტების რაოდენობამ 15 მილიონს გადააჭარბა (Бизнес Против... 1965: 20).

ზოგადად, საბჭოთა პრესაში „ბიტლომანიის“ ფენომენს, უნდა ითქვას, განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა. მაგალითად, გაზეთმა „იზვესტიამ“, 1964 წელს ვრცელი საგაზეთო პუბლიკაცია მიუძღვნა აშშ-ში მიმდინარე ბიტლომანიის პროცესს (Кондрашов 1964: 2), ჟურნალი „კროკოდილი“ კი ვრცლად მოგვითხრობს ამერიკული ტურნეს მსვლელობას (Жучки-ударники и... 1964: 10). „კროკოდილი“ მომდევნო წლის ერთ-ერთ ნომერში, ბიტლომანიის პროცესს, „ტრანსატლანტიკურ ფსიქოზს“ უწოდებს და იმავე სათაურის მქონე სტატიაში აღნიშნავს, რომ ამ პროცესებში, ოთხი ბიჭი, რომლებიც მხიარულ მუსიკას უკრავენ, არაფერ შუაში არიან, სტატიის დანარჩენ ნაწილში კი ჟურნალისთვის დამახასიათებელი ირონიულობით განიხილავს იმ წერილებს, რომლებსაც ბითლზელ ოთხეულს უგზავნიდნენ (Халипов 1965: 8). „ბიტლომანიას“ გაზეთმა „სავეტსკაია მალადიოჟ“ (Советская молодёжь) „მოდური დაავადება“ უწოდა (Кущ 1965: 5). სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ „ბიტლომანიის“ კრიტიკა დამახასიათებელი არ ყოფილა მხოლოდ საბჭოთა პერიოდული გამოცემებისთვის. მაგალითად, კონსერვატორი კომენტატორი [Conservative commentator] უილიამ ფ. ბაკლი, რომლის შესახებაც წლების შემდეგ გამჟღავნდა, რომ ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელფასზე იყო, მწვავედ აკრიტიკებდა ბიტლომანიას, როგორც „დაავადებას, რომელიც არის არა კულტივირებული, ჰალუცინაციური სისუსტე, არამედ რაღაც, რაც გამომდინარეობს სამწუხარო და ორგანული დისბალანსიდან. თუ ჩვენს შვილებს შეუძლიათ ხარბად მოუსმინონ ბითლზს, ეს იმიტომ უნდა იყოს, რომ ჩვენი გენების მეშვეობით გადავეცით მიდრეკილება რაღაც სახის დარღვევისკენ (Schreiber 2020: 123).

საინტერესო სტატიას ვხვდებით ჟურნალის „მუზიკალნაია ჟიზნ“ («Музыкальная жизнь») 1964 წლის მაისის ნომერში სათაურით «Новые «идолы» (ქართ. „ახალი „კერპები“). სტატიაში აღნიშნულია, რომ „დასავლეთის მუსიკალურ ცაზე ყოველთვე ახალი კერპები“ ჩნდებიან, „ბითლზი“ კი უკანასკნელი თვეების სენსაციადაა მოხსენიებული. სტატიაში დასმულია კითხვა – რა არის ამგვარი აკვიატების მიზეზი?[2] პასუხად კი იუგოსლავიური გაზეთის ნიუ-იორკელი კორესპონდენტის, მ. რადოიჩიჩის წერილი მოჰყავს და მოკლედ მოგვითხრობს მის შინაარსს: „ოთხი ლივერპულელი ბიჭის წარმატების „საიდუმლო“ ხელოვნების მიღმაა – იქ, სადაც იწყება ბიზნესი.“ ამას გარდა, განხილული იყო ის ფაქტიც, რომ „ბითლზი“ სტუმრად იყო ედ სალი-

[2] იგულისხმება ის ფაქტი, რომ მთელი ახალგაზრდობა ბითლზის კონცერტებზე დასასწრები ბილეთის გამო ყველაფერზეა წამსვლელი და ა. შ.

ვანის შოუში. აგრეთვე ყურადღება მიექცა იმასაც, რომ ბითლზის პოპულარობისა და მათ გარშემო წარმოქმნილი ისტერიის განხილვაში სერიოზულად ჩაერთნენ ამერიკელი ფსიქოლოგები და სოციოლოგები. განიხილავს რა სხვადასხვა მოსაზრებას, ავტორი მაინც იმ აზრზე რჩება, რომ მათი წარმატების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მოხერხებული ამერიკელების მიერ დასახული კოლოსალური ბიზნეს-ბუმი იყო: „სინამდვილეში „ბითლზში“ არაფერი „განსაკუთრებული“ არ არის, მაგრამ არის ბევრი რამ ბიზნესიდან. და რა თქმა უნდა, მათ ჰყავთ მოხერხებული მენეჯერი, რომელიც მათზე ბევრად უფროსია და რომელმაც უარყო მრავალი შემოთავაზება და დააბრუნა ლივერპულელი ბიჭები ინგლისში, აშშ-ში გასტროლების დაწყებიდან უკვე ორი კვირის შემდეგ.“ დასასრულს კი ავტორი (რომლის სახელიცა და გვარიც არ ახლავს სტატიას) დაასკვნის: „ამგვარად, „ბითლზი“ – კიდევ ერთი საშუალებაა იმ მრავალრიცხოვანიდან, რომელიც დასავლეთში გამოიყენება ახალგაზრდობის გაბრუებისათვის მათი სერიოზული საზოგადოებრივი ამოცანებიდან ყურადღების გადატანის მიზნით (Новые „идолы” 1964: 20-21).

ჟურნალმა „სმენამ“ (“Смена”), მცირე საგაზეთო პუბლიკაციაში სათაურით Попрыгунчики (ქართ., სავარაუდოდ, მოხტუნავენი), „ბითლზზე“ გამოქვეყნებულ მცირე ინფორმაციაში აღნიშნა, რომ მათ კონცერტებზე მუსიკოსების ხმა არ ისმის, მხოლოდ მსმენელის ყვირილი, წევრების ვარცხნილობას კი ხულიგანური უწოდა. ბოლოს კი აღნიშნავს, რომ ეპიდემია გრძელდება (Попрыгунчики 1964: 17). ამ შემთხვევაში, ავტორის მოსაზრებას უნდა დავეთანხმოთ.

ახალგაზრდობის უარყოფითი კუთხით წარმოჩენის ნათელი მაგალითია 1964 წელს, გაზეთში „ზა რუბეჟომ“ (За рубежом) გამოქვეყნებული სტატია, სათაურით „ფენომენი სახელად „ბითლზი“ (Феномен под названием «битлз»). როგორც ჩანს, სტატია თარგმანს წარმოადგენს, თუმცა კარგადაა შერჩეული. სტატიის დასასრულს აღნიშნულია, რომ ისინი, ვინც „ბითლზის“ მუსიკითაა გატაცებული, ახალგაზრდა თაობის ყველაზე უბედური, მოსაწყენი, ზარმაცი და ყველაზე უბადრუკი წარმომადგენლები არიან (Джонсон 1964: 30).

„ბითლზის“ შემდეგ უმთავრესი განხილვის საგანი „როლინგ სტოუნსი“ იყო. მაგალითად, ჟურნალ „როვესნიკში“, „როლინგები“ წარმოდგენილი იყო როგორც ანტი-ესტაბლიშმენტური როკ-ბენდი და აქებდნენ მათ სიმღერებს, როგორც „გულწრფელ პროტესტს კაპიტალისტური ექსპლუატაციის წინააღმდეგ. პუბლიკაციის ავტორის მიხედვით, მათი სიმღერა “(I Can’t Get No) Satisfaction” იყო „შფოთვისა და იმედგაცრუების ემოციურად ძლიერი გამოხატულება თანამედროვე ბურჟუაზიული დასავლური სამყაროს მიმართ“ (Zhuk 2010: 245). ზოგადად, „როლინგ სტოუნსი“ გამონაკლისი არაა და „ის მუსიკოსები, რომლებიც მონაწილეობდნენ მუშათა კლასის მოძრაობაში, კომუნისტური პარტიების საქმიანობაში ან დასავლეთის ქვე-

ყნებში ომის საწინააღმდეგო, ანტიიმპერიალისტურ ქმედებებში, „როვესნიკის“ სტატიების გმირები გახდნენ.“ (Zhuk 2010: 247).

გარდა „ბითლზისა“ და სხვა ევროპული ბენდებისა, საბჭოთა პრესაში დიდი ყურადღება ეთმობოდა საცეკვაო მოედნებისა და დისკოთეკების საკითხს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1970-იან წლებში, როდესაც ახალგაზრდობა დასავლური მუსიკის „საცავებში“ ეძებდა ახალ მუსიკალურ ფორმებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორედ დისკოთეკებს, რადგანაც საბჭოთა კავშირში დისკოთეკა მუსიკალური მიმდინარეობებისა და სიახლეების უმთავრეს წყაროდ იქცა. აქ ხდებოდა ინფორმაციის მიღება საყვარელ შემსრულებლებზე, ჯგუფებზე, ავტორებსა და მუსიკოსებზე. აქ მათ საშუალება (უფლება) ეძლეოდათ თავისუფლად მოესმინათ უცხოური მუსიკისთვის (Невская 2009: 55).

70-იანი წლების ბოლოსა და თბილისის 1980 წლის ფესტივალის შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში საბჭოთა პრესაში ხშირად შეხვდებოდით სტატიებს უცხოელი მომღერლების შესახებ, როგორც ჯაზ, ისე როკ-მიმართულებებს.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, საბჭოთა პერიოდში მუსიკალური მიმართულებით ერთ-ერთი მთავარი, ოფიციალური გამოცემა იყო ჟურნალი „მუზიკალნაია ჟიზნ“ (Музыкальная жизнь) არსებობდა სექცია – საზღვარგარეთული ესტრადის ვარსკვლავები. ამ სექციაში (ძირითადი ავტორი არტიომ ტროიცკი იყო) 70-იანი წლების ბოლოს შეხვდებოდით დასავლური როკ და პოპ-მუსიკის ჟანრის მრავალ მოღვაწეს. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

ჟურნალის 1978 წლის 22-ე ნომერში, ბოლოს წინა გვერდზე, გამოქვეყნებულია მკითხველის (ანატოლი კირილოვის) წერილი, სადაც წერილის ავტორი გაზეთის რედაქციას სთხოვს, რომ ჟურნალის ფურცლებზე მოეთხროთ ანსამბლ „აბბას“ ისტორია, რომლის ფირფიტაც („მელოდიას“ მიერ გამოცემული) შეუძენია. იქვე ჟურნალის რედაქცია აღნიშნავს, რომ ანალოგიური წერილები მრავლად იყო, სწორედ ამის გამო ჟურნალი იწყებდა ახალი სერიის ფუნქციონირებას: „საზღვარგარეთული ესტრადა“.

ამ საინფორმაციო ველს კი მოსდევს არტიომ ტროიცკის მცირე სტატია „აბბას“ შესახებ, რომელიც იმ დროისთვის სულ რაღაც ექვსი წლის იყო. თუმცა, როგორც სტატიაშიცაა შენიშნული, ჯგუფი უნივერსალური პოპულარობით სარგებლობდა თითქმის ყველა თაობის ადამიანებში. ავტორი „აბბას“ მუსიკალურ მიმართულებასაც აძლევს შეფასებას: „უდავოა, ეს არაა როკ-მუსიკა“ (Троицкий 1978: 24).

1979 წლის მეშვიდე ნომერში, რომლის გარეკანზეც ლენინის პორტრეტია გამოსახული, ხოლო პირველივე სტატია ულიანოვების ოჯახში მუსიკის მნიშვნელობას ეხება, გამოქვეყნდა არტიომ ტროიცკის სტატია ჯონ ლენონზე სათაურით – „გზა მარტოობაში“. სტატია ამგვარად იწყება: „ჯონ ლე-

ნონი – როკ-მუსიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა.“ (Троицкий 1979з: 22). ავტორი ლენონს ჰიპური კონტრკულტურისა და 70-იანი წლების როკ-მუსიკის ახალი ეტაპის პირველმავალ მუსიკოსად მიიჩნევს. სტატიის დანარჩენ ნაწილში კი თანადროული პერიოდის ახალგაზრდობის რაობის ფონზე განიხილავს მის სოლო შემოქმედებას (Троицкий 1979з: 22). ლენონამდე ტროიცკი პოლ მაკარტნის შეეხო (Троицкий 1979ე: 22). სტატია ამგვარად იწყება: „ყველაზე სიმპათიური, ყველაზე კომუნიკაბელური, ყველაზე იღბლიანი „ბითლზის“ ოთხეულიდან.“ (Троицкий 1979ე: 22). ბითლზის წევრობის დროს მისი „კუთვნილი“ სიმღერების განხილვის შემდეგ ავტორი მის დამოუკიდებელ, სოლო შემოქმედებას განიხილავს და ეხება მის მიერ შექმნილ სხვადასხვა ფირფიტებს, მათ მუსიკალურ ანალიზს და ხალხში პოპულარობას. სტატიაში ისიცაა აღნიშნული, რომ ფირმა „მელოდიამ“ მაკარტნის ფირფიტა, Band on the run ოფიციალური ლიცენზიით გამოუშვია. საბოლოოდ, მაკარტნი „ნიჭიერ, თუმცა ზარმაც მუსიკოსადაა შეფასებული (Троицкий 1979ე: 22).

ამავე ეპოქისა და ბითლზის ორი წევრის შემდეგ ტროიცკი ბობ დილანს განიხილავს. უნდა ითქვას, ლენონ-მაკარტნისგან განსხვავებით, რომელთაც მხოლოდ ნახევარი გვერდი ერგოთ, დილანს მთელი სრული გვერდი დაეთმო (Троицкий 1979ბ: 22). გაზრდილი რაოდენობა ბუნებრივიცაა, ავტორი სრულად მიმოიხილავს ბობ დილანის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ტროიცკის მზერას არ გამორჩენია არც როდ სტიუარტი (Троицкий 1980: 23).

ჟურნალის მთელი ერთი გვერდი დაეთმო „როლინგ სტოუნსს“. თითქმის მთელი სტატია ბითლზთან შედარების (არა მხოლოდ მუსიკალური მიმართულებით) ფონზეა დაწერილი (Троицкий 1982ბ: 23).

როკ-მუსიკოსებთან ერთად ავტორი პოპ-ის ჟანრის მოღვაწეებსაც შეეხო. მერვე ნომერში სტატია გამოქვეყნდა “Bee Gees”-ის შესახებ (Троицкий 1979ა: 23). სტატია ბენდის ისტორიისა და მუსიკალური შემოქმედების უბრალო თხრობას წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას სტატიებზე ელტონ ჯონისა და ბონი ემის შესახებ (Троицкий 1979გ: 23; Троицкий 1979დ: 23). ამ უკანასკნელის შემთხვევაში ტროიცკი კრიტიკულია, ამას სტატიაში თავადაც აღნიშნავს, სსრკ-ში მის პოპულარობას კი სარეკლამო კამპანიით ხსნის. სტატია შემდეგნაირად სრულდება: „მაშინ უსმინეთ „ბონი ემ“-ს..., მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ თანემდროვე მუსიკის სამყარო მათით არ შემოიფარგლება.“ (Троицкий 1979გ: 23).

1982 წელს ლეონიდ ბრეჟნევი გარდაიცვალა. მისი ადგილი იური ანდროპოვმა, შემდეგ კი კონსტანტინ ჩერნენკომ დაიკავა. მათ დროს დასავლური მუსიკალური გავლენების მიმართ ბრძოლის ახალი, უკანასკნელი (სსრკ-ის შემთხვევაში) ეტაპი დაიწყო. ამ ყველაფრის ფონზე ნელ-ნელა დასავლური მუსიკის შესახებ საუბრები ჟურნალებიდან ქრება. თუმცა, ბუ-

ნებრივია, ვხვდებით გამონაკლისებსაც. ასეთ გამონაკლისად გვევლინება სტატია ჯიმი ჰენდრიქსის შესახებ. პუბლიკაციაში საკმაოდ კარგადაა გადმოცემული ის ცხოვრება, რომელიც ჰენდრიქსმა გაიარა და რომელმაც გარკვეულწილად ჩამოაყალიბა ის მუსიკოსად. სტატიაში დიდი ნაწილი ეთმობა მის მუსიკალურ შემოქმედებას, განხილულია ჰენდრიქსის მიერ გამოცემული ალბომები, გარდა ამისა, ამ ყველაფერს ფონად გასდევს საუბარი ჯიმის პიროვნულ ხასიათზე. სტატიაში აღნიშნულია, რომ სწორედ ჰენდრიქსი გახდა ის მუსიკოსი, რომელმაც გააერთიანა როგორც „შავი“ და „თეთრი“ მუსიკა, აგრეთვე ორივე რასის აუდიტორია (Троицкий 1982ა: 22-23). 1983 წლის მე-19 ნომერში გამოქვეყნდა ტროიცკის სტატია ფრანგული როკ-მუსიკის შესახებ. შინაარსზე მეტად, თავად გამოქვეყნების ფაქტია ჩვენთვის საინტერესო (Троицкий 1983: 21).

1983 „მუზიკალნაია ჟიზნის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა სტატია ჯონ მაკლაფლინზე, რომელიც უფრო მეტად ჯაზ-როკ შემოქმედებითაა ცნობილი. სტატიაშიც სწორედ მაკლაფლინის მიერ ჯაზისა და როკის შემოქმედებით სინთეზზეა საუბარი (Эпшай, Розенберг 1983: 23). შემდეგ ნომრებში სტატიები უკვე ესტრადის უცხოელ ვარსკვლავებს ეხება და არა პოპ, ან როკ მუსიკოსებს.

ამრიგად, სტატიაში ვცადეთ გაგვეანალიზებინა 1960-1980-იანი წლების საბჭოთა პერიოდული პრესის როლი დასავლური პოპულარული მუსიკის რეცეფციისა და კულტურული ფილტრაციის პროცესში. განვიხილეთ ბეჭდური მედიის, როგორც იდეოლოგიური აპარატის ფუნქციონირებას, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ფუნქციას ასრულებდა „ცივი ომის“ ეპოქაში. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ისეთი გამოცემები, როგორიცაა „კომსომოლსკაია პრავდა“, „როვესნიკი“ და „მუზიკალნაია ჟიზნ“, წარმოადგენდნენ სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებოდა დასავლური კულტურული პროდუქტის სელექციური ლეგიტიმაცია ან, საჭიროების შემთხვევაში, დისკრედიტაცია.

კვლევის ფარგლებში გამოკვეთილია იდეოლოგიური ნარატივის ტრანსფორმაცია: თუ საწყის ეტაპზე როკ-კულტურა და „ბიტლომანია“ განიხილებოდა როგორც კაპიტალისტური სისტემის მიერ ინსპირირებული „ტრანსატლანტიკური ფსიქოზი“ და მარგინალური სოციალური მოვლენა, მოგვიანებით მოხდა გარკვეული არტისტების შემოქმედების რეინტერპრეტაცია მათი ანტი-ესტაბლიშმენტური და სოციალური პროტესტის ელემენტების აქცენტირებით.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- **Бизнес Против... 1965:** Бизнес Против Искусства. ჟურნ. «Музыкальная жизнь», 1965, №22, ноябрь, გვ. 20;
- **Д. А. Поликарпов об... 2013:** Д. А. Поликарпов об освещении в советской печати ансамбля «Битлс». 21 марта 1964 года. *Музыка вместо сумбура: Композиторы и музыканты в Стране Советов. 1917-1991* / Составитель ***Л.В. Максименков***, М.: МФД, 2013, გვ. 599-600;
- **Джонсон 1964:** Джонсон Поль. Феномен под названием «битлз» (перевод с английского). გაზ. «За рубежом», 1964, №15 (200), 11-17 апреля, გვ. 30;
- **Невская 2009:** Невская Татьяна Н.. Эволюция Рок-культуры в России. ДИССЕРТАЦИЯ на соискание ученой степени кандидата культурологии, Санкт-Петербург, 2009;
- **Новые «идолы» 1964:** Новые «идолы». ჟურნ. «Музыкальная жизнь», 1964, № 9, მაისი, გვ. 20-21;
- **Жучки-ударники и... 1964:** Жучки-ударники и Жук-претендент. ჟურნ. «Крокодил», 1964, № 8 (1730), 20 марта, გვ. 10;
- **Халипов 1965:** Халипов С.. Трансатлантический психоз. ჟურნ. «Крокодил», 1965, № 1 (1759), 10 января, გვ. 8;
- **Zhuk 2010:** Zhuk Sergei I.. Rock and Roll in the Rocket City. The West, Identity, and Ideology in Soviet Dniepropetrovsk, 1960-1985. Woodrow Wilson Center Press, Washington D.C., Baltimore: The Johns Hopkins University Press, 2010;
- **Schreiber 2020:** Schreiber Brad. Music Is Power: Popular Songs, Social Justice, and the Will to Change. New Brunswick, Camden, and Newark, New Jersey, and London: Rutgers University Press, 2020;
- **Егоров 1964: Егоров, Евгений**. Джазовый Бизнес. // *Комсомольская искра*, Владимир, 1964, № 8 (1936), 19 января, გვ. 4;
- **Попрыгунчики 1964:** Попрыгунчики. ჟურნ. «Смена», 1964, № 2 (880), январь, გვ. 17;
- **Троицкий 1978:** Троицкий А.. «АББА». ჟურნ. «Музыкальная жизнь», 1978, ნოემბერი, №22 (504), გვ. 24;
- **Троицкий 1979ა:** Троицкий А.. «БИ ДЖИЗ». ჟურნ. «Музыкальная жизнь», 1979, აპრილი, N8 (514), გვ. 23;
- **Троицкий 1979ბ:** Троицкий А.. БОБ ДИЛАН. ჟურნ. «Музыкальная жизнь», 1979, ივლისი, №13 (519), გვ. 22;
- **Троицкий 1979გ:** Троицкий А.. «Бони М»: легенда и действительность. ჟურნ. «Музыкальная жизнь», 1979, თებერვალი, №4 (510), გვ. 23;
- **Троицкий 1979დ:** Троицкий А.. ЭЛТОН ДЖОН. ჟურნ. «Музыкальная жизнь», 1979, აგვისტო, №16 (522), გვ. 23.
- **Троицкий 1979ე:** Троицкий А.. ПОЛ МАККАРТНИ. ჟურნ. «Музыкальная жизнь», 1979, მარტი, №5 (511), გვ. 22;
- **Троицкий 1979ვ:** Троицкий А.. Путь в одиночестве. ჟურნ. «Музыкальная жизнь», 1979, აპრილი, №7 (513), გვ. 22;
- **Троицкий 1980:** Троицкий А.. РОД СТЮАРТ. ჟურნ. «Музыкальная жизнь», 1980, სექტემბერი, №18 (548), გვ. 23;
- **Троицкий 1982ა:** Троицкий А.. ДЖИМИ ХЕНДРИКС. ჟურნ. «Музыкальная жизнь», 1982, ნოემბერი, №21 (599), გვ. 22-23;

- **Троицкий 1982ბ:** Троицкий А.. «РОЛЛИНГ СТОУНЗ». ჟურნ. «Музыкальная жизнь», 1982, აგვისტო, №16 (594), გვ. 23;
- **Троицкий 1983:** Троицкий А.. ПАРИЖ ФРАНЦИЯ РОК. ჟურნ. «Музыкальная жизнь», 1983, ოქტომბერი, №19 (621), გვ. 21;
- **Эпшай, Розенберг 1983:** Эпшай В., Розенберг В.. ДЖОН МАКЛАФЛИН и «ОРКЕСТР МАХАВИШНУ». ჟურნ. «Музыкальная жизнь», 1983, იანვარი, №1 (603), გვ. 23;
- **Кондрашов 1964:** Станислав Николаевич Кондрашов. Американские Сенсации. გაზ. «Известия», 1964, № 54 (14524), 3 марта, გვ. 2;
- **Кущ 1965:** Кущ П.. Модная болезнь. გაზ. «Советская молодёжь», Иркутск, 1965, № 106 (5605), 12 июля, გვ. 5;
- **Palazchenko 1997:** Palazchenko Pavel. My Years with Gorbachev and Shevardnadze, The Memoir of a Soviet Interpreter. The Pennsylvania State University Press, University Park, Pennsylvania,1997;

Nikoloz Sarajishvili

Ph.D Program in History, TSU

Researcher at “The Centre For Contemporary History”

Nikasarajishvili99@gmail.com

WESTERN MUSIC AND MUSICIANS IN THE PAGES OF OFFICIAL SOVIET PERIODICALS DURING THE ERA OF “STAGNATION”

(SUMMARY)

This article explores the representation of Western music and musicians in the official Soviet periodical press, focusing on the ideological, cultural, and political frameworks that shaped such portrayals. By examining a range of Soviet newspapers and magazines from the post-war decades through the late Soviet era, the study investigates how Western musical phenomena – particularly jazz, rock, and pop – were framed within a discourse of ideological confrontation and cultural control. The analysis reveals the complex interplay between censorship, propaganda, and selective openness that characterized the Soviet media’s engagement with Western culture. While official publications often condemned Western music as a symbol of capitalist decadence or moral decay, they simultaneously appropriated certain stylistic or performative aspects that could be aligned with socialist values. This ambivalent discourse reflected broader tensions within Soviet cultural policy: the desire to maintain ideological purity while

acknowledging the growing popularity and influence of global musical trends among Soviet citizens. By situating the discussion within the context of Cold War cultural diplomacy and internal Soviet media strategies, the article contributes to a deeper understanding of how music functioned as both a site of ideological struggle and a channel of cultural exchange. The study ultimately argues that the Soviet portrayal of Western music served not merely as propaganda but as a revealing mirror of the regime's anxieties, aspirations, and adaptive mechanisms in the face of transnational modernity.